ემიგრაციის/დიასპორის როლი წინასაარჩევნო და არჩევნების პერიოდში ტრანზიციულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში (შემთხვევები - საქართველო და მოლდოვა)

მარი ფსუტური

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო საშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი ფსუტური,

19.06.2025

მადლობა

პირველ რიგში, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო ფავლენიშვილს - გაწეული მხარდაჭერისთვის, მნიშვნელოვანი რჩევებისა და პროფესიონალიზმისთვის, რამაც სამაგისტრო კვლევის დაგეგმვისა და ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ამასთანავე, მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც გამონახეს დრო და დამთანხმდნენ ინტერვიუზე, რისი საშუალებითაც გამიზიარეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევისთვის განკუთვნილი კითხვარი შეავსო და ამით დახმარება გამიწია მონაცემების შეგროვებასა და საბოლოო ანალიზის ჩამოყალიბების კუთხით

ბოლოს კი, მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში, კვლევის ჩატარებისას, მხარდაჭერას მიცხადებდა და ძალას მაძლევდა.

აბსტრაქტი

თანამედროვე ტრანსნაციონალურ ურთიერთობებში დიასპორის პოლიტიკური როლი მკვეთრად გაზრდილია და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს იმ სახელწმიფოებისთვის, რომლებიც განიცდიან დემოკრატიზაციის პროცესს. ტექნოლოგიური პროგრესის, გლობალიზაციისა და მიგრაციის მასშტაბების გაზრდის ფონზე, ჩამოყალიბდა დიასპორა, როგორც არასახელმწიფოებრივი აქტორი, რომელიც მოქმედებს, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა წარმოშობის ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ კურსზე მოახდინოს გავლენა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დიასპორის, როგორც ტრანსნაციონალური პოლიტიკური აქტორის როლის შეფასებას ტრანზიციულ დემოკრატიებში კერძოდ, საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევაში. კვლევა ფოკუსირებულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში და 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მოლდოვაში, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დიასპორული ჯგუფის გავლენა და მონაწილეობა საარჩევნო პროცესებსა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება შერეულ მიდგომას. კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კითხვარი, რომელიც გავრცელდა ორივე ქვეყნის დიასპორის წარმომადგენლებთან, ხოლო თვისობრივი ანალიზი ეყრდნობა დარგის ექსპერტებთან, სპეციალისტებთან და პოლიტიკურად აქტიურ პირებთან ჩატარებულ ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს. თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ტრანსნაციონალიზმის თეორია, ორდონიანი თამაშის მოდელი, გარე ხმის კონცეპტუალური ჩარჩო და რბილი ძალის თეორია, რაც შესაძლებლობას იძლევა დიასპორის პოლიტიკური მოქმედება გააზრებული იყოს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილად.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოლდოვის დიასპორა გამოირჩევა მაღალი მობილიზებით, რაც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამომრჩეველთა მობილიზაცია, პროევროპული პოლიტიკური მიმართულების მხარდაჭერა და სახელმწიფოს მზაობა დიასპორასთან სტარტეგიული

ურთიერთობის დამყარებაზე, მოლდოვის მაგალითს აქცევს ეფექტურ ტრანსნაციონალურ მოდელად. საქართველოს შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დიასპორის ცალკეული ჯგუფები არიან აქტიური, სისტემური ბარიერები და სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი პოლიტიკური ინტერესი იწვევს დიასპორის ფრაგმენტაციას და მათი მხრიდან ნაკლებ ჩართულობას.

დასკვნის სახით, კვლევა მიუთითებს, რომ დიასპორა უნდა აღიქმებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური რესურსი, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული პოლიტიკური მნიშვნელობა. მისი ჩართულობის ხარისხი განსაზღვრავს დემოკრატიული კონსოლიდაციის დონეს, სახელმწიფოს ლეგიტიმურობას და საგარეო კურსის ინტერნაციონალიზაციის ხარისხს. ტრანზიციული დემოკრატიებისთვის დიასპორის მობილიზება არ წარმოადგენს მეორეხარისხოვან საკითხს, არამედ პოლიტიკური სტაბილურობისა და გეოპოლიტიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

საკვანძო სიტყვები: დიასპორა, ემიგრანტები, მოლდოვა, საქართველო, ტრანზიციული დემოკრატიული სახელმწიფო, ტრანსნაციონალური აქტორი, წინასაარჩევნო პერიოდი, საარჩევნო პერიოდი, ტრანსნაციონალური ურთიერთობები, წარმოშობის სახელმწიფო.

Abstract

In the context of contemporary transnational relations, the political role of diasporas has significantly increased and gained critical importance, particularly for states undergoing processes of democratization. Against the backdrop of technological advancement, globalization, and large-scale migration, diasporas have emerged as non-state actors functioning as political subjects capable of influencing both the domestic and foreign policy directions of their countries of origin.

This study aims to evaluate the role of the diaspora as a transnational political actor in transitional democracies, focusing specifically on the cases of Georgia and Moldova. It analyzes the 2020 parliamentary elections in Georgia and the 2020 presidential elections in Moldova to reveal the extent of diasporic participation and its impact on electoral processes and foreign policy orientation.

The methodology of the research is based on a mixed-methods approach. Specifically, the quantitative component employs a questionnaire distributed among representatives of the diaspora from both countries, while the qualitative analysis is grounded in semi-structured interviews conducted with experts in the field, specialists, and politically active individuals. The theoretical framework incorporates the theory of transnationalism, the two-level game model, the conceptual framework of external voting, and the theory of soft power. This combination allows for the interpretation of diaspora political engagement as an integral part of both domestic and international politics.

The findings indicate that the Moldovan diaspora demonstrated a high degree of political mobilization, which proved decisive in the outcome of the 2020 presidential election. Their support for a pro-European agenda and the state's willingness to engage with diaspora communities strategically position Moldova as an effective transnational model. In contrast, the Georgian diaspora, despite the activism of certain groups, remains fragmented due to institutional barriers and insufficient political engagement by the state, resulting in lower levels of participation.

This research concludes that diasporas should not be viewed merely as external communities or sources of remittances, but rather as significant political resources with tangible influence. The degree of their engagement determines the depth of democratic consolidation, state legitimacy, and the internationalization of foreign policy. In transitional democracies, diaspora mobilization is not a secondary issue, but a key factor shaping political stability and geopolitical integration.

Keywords: diaspora, emigrants, Moldova, Georgia, transitional democracy, transnational actor, pre-electoral period, electoral process, transnational relations, country of origin.